



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### კალაძე კახა კარლოს ძე



კ. კალაძე

კალაძე კახა კარლოს ძე (დ. 27. II. 1978, სამტრედია), პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. სპორტსმენი, ფეხბურთელი (მცველი). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი (2003). ევროპის ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი (2003, 2007) „მილანის“ (იტალია) შემადგენლობაში; მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებული (2007); იტალიის ჩემპიონი (2004) და თასის მფლობელი (2003); იტალიის (2004) და უეფას (2007) სუპერთასის მფლობელი. თამაშობდა „სამტრედიაში“ (1993), თბილისის „დინამოში“ (1994–97), კიევის „დინამოში“ (უკრაინა, 1998–2000), „მილანსა“ (2001–10) და „ჯენოაში“ (2010–12). საქართვე. ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 75 მატჩი. საქართვე. სამგზის (1996–98), უკრაინის სამგზის (1998–2000) ჩემპიონი. საქართვე. ორგზის (1996–97), უკრაინის სამგზის (1998–2000) თასის მფლობელი. საქართვე. ხუთგზის წლის საუკეთესო ფეხბურთელი (2001–03, 2006, 2011). საქართვე. ნაკრების წევრი (83 მატჩი), ნაკრების კაპიტანი (2004–11). მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთა მონაწილეობით 2013 წ. მაისს თბილისში, „დინამო არენაზე“, შედგა მისი გაცილება ფეხბურთიდან.

საერთაშ. საინვესტიციო ჯგუფ „კალა კაპიტალის“ დამფუძნებელი (2007). „პროგრეს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (2008), საქველმოქმედო „კალა ფონდის“ დამფუძნებელი (2008).

**კ.** 2011-იდან ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას, გახდა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრი. საქართვე. ენერგეტიკის მინისტრი (2012-17), ვიცე-პრემიერი (2012-17). პარტია „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი (2013), თბილისის მერი (2017-იდან). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

---